საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030164880906420

№ 01-103/ო **17 / მარტი / 2020 წ.**

კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურების უზრუნველსაყოფად მედიატორთა რეესტრის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 48^1 მუხლის, „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის N301 დადგენილების, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 8^1 მუხლის „გ“ პუნქტის, და სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2017 წლის 10 თებერვლის N1 სხდომის ოქმის II ნაწილის გათვალისწინებითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურების უზრუნველსაყოფად, უფლებამოსილების 3 თვის ვადით, მედიატორთა რეესტრი განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) გორდულაძე არჩილი - მედიატორი;

ბ) ვასაძე ქეთევანი - მედიატორი;

გ) სიგუა მარიამი - მედიატორი;

დ) სიხარულიძე ტარიელი - მედიატორი;

ე) სტურუა ნატა - მედიატორი;

ვ) ტყემალაძე სოფიო - მედიატორი;

ზ) ჩაჩავა სოფიო - მედიატორი;

თ) ჩიტაშვილი ნათია - მედიატორი;

ი) ყანდაშვილი ირაკლი - მედიატორი;

კ) ხარაიშვილი ანა - მედიატორი;

ლ) ხურციძე ანა- მედიატორი.

2. მედიატორთა რეესტრის წარმოება (მათ შორის, მასში შესაძლო ცვლილებების განხილვის კუთხით) და კოლექტიური დავის მედიაციის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერა დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურების უზრუნველსაყოფად მედიატორთა რეესტრის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 1 მარტის N01-54/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე